

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ნოტარიუსთა
პალატის ვებ-გვერდის (www.notary.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა
და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 28 ნოემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge


info@idfi.ge




საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ნოტარიუსთა
პალატა

www.notary.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები





საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ნოტარიუსთა პალატის ხელმძღვანელობის შესახებ არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარის ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და ფაქსის ნომერი. ხოლო მისი ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი და სამუშაო ელექტრონული ფოსტის მისამართი მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდის ნავიგაციაზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ცნობარი“ განთავსებულ ბმულში „თბილისი“, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ:



მ. ელენე გიზილაშვილი

ნოტარიუსად დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1997 წლის 16 იანვრის №3 §3 ბრძანების საფუძველზე (ნოტარიუსად მუშაობს 1993 წლიდან);
სანოტარო ბიუროს მის: კოსტავას ქ. №23;
ტელ: 2 99.52.10; ელ.ფოსტა: ekizilashvili@notary.ge.



მ. ნინო ხოფერია

ნოტარიუსად დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 1999 წლის 15 ივლისის №57 §16 ბრძანების საფუძველზე (ნოტარიუსად მუშაობს 1999 წლიდან);
სანოტარო ბიუროს მის: რუსთაველის გამზ. №28/2;
ტელ: 2 98.70.24; ელ.ფოსტა: nxoferia@notary.ge.



- არ მოიძიება ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და ფაქსის ნომერი. ხოლო მისი ფოტოსურათი, ტელეფონის ნომერი და სამუშაო ელექტრონული ფოსტის მისამართი მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდის ნავიგაციაზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ცნობარი“ განთავსებულ ბმულში „თბილისი“, რაც სირთულეს ქმნის მომხმარებლისათვის აღნიშნული ინფორმაციის მოძიების მხრივ:



10. ლია ბუზნიკიძე

ნოტარიუსად დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 01 აპრილის №30 ბრძანების საფუძველზე (ნოტარიუსად მუშაობს 2007 წლიდან);
სანოტარო ბიუროს მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №81;
ტელ: 2 95.25.20; ელ.ფოსტა: lbukhrikidze@notary.ge.



11. ლალი გვინიშვილი

ნოტარიუსად დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2003 წლის 5 აგვისტოს №124 §1 ბრძანების საფუძველზე (ნოტარიუსად მუშაობს 2003 წლიდან);
სანოტარო ბიუროს მის: დავით აღმაშენებლის გამზ №77;
ტელ: 2 36 99 99; ელ.ფოსტა: lgzirishvili@notary.ge.



12. მედეა დემეტრაშვილი

ნოტარიუსად დაინიშნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 8 აგვისტოს №58 §8 ბრძანების საფუძველზე (ნოტარიუსად მუშაობს 2008 წლიდან);
სანოტარო ბიუროს მის: მარჯანიშვილი ქ. №19;
ტელ: 296 70 42; ელ.ფოსტა: mdemetrashvili@notary.ge.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „გამგეობის თავმჯდომარე“ „გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე“ და „აღმასრულებელი დირექტორი“ სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა სახის შესაბამისი ინფორმაცია.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ნოტარიუსთა პალატის ელექტრონული ფოსტის მისამართი.

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ნოტარიუსთა პალატის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტები და ფაქსის ნომრები).

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ნოტარიუსთა პალატის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასახელება:



5. ნოტარიუსთა პალატის ისტორიის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“:

მოზრდნდით

საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ ფუნქციონირება დაიწყო 1996 წლის 3 მაისის "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლითაც განისაზღვრა საქართველოში ნოტარიატის მოწყობისა და ნოტარიუსის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები. ამ კანონის მიღებით უარი ითქვა საბჭოური და აღწეული პოსტსაბჭოური პერიოდის მოდელზე, რომლის მიხედვითაც ნოტარიუსი წარმოადგენდა სახელმწიფო მოსამსახურეს (მოხელეს, რომელიც იღებს ხელფასს სახელმწიფოსაგან) და დადგინდა ნოტარიუსის, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის სამართლებრივი სტატუსი.

საქართველოს ნოტარიატს წარმოადგენს საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. ნოტარიუსთა პალატა ნოტარიუსთა საგაუდებულო წევრობაზე დაფუძნებული და თვითმმართველობის პრინციპზე აგებული ნოტარიუსების გაერთიანებაა. კანონის თანახმად, ნოტარიუსთა პალატა წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს.

საქართველოს ნოტარიატის მართვის უმაღლესი ორგანოა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრება, ხოლო აღმასრულებელი ორგანო - პალატის გამგეობა, რომელიც 5 წევრისაგან შედგება და აირჩევა კრების მიერ 3 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით. გამგეობის თავმჯდომარეს ასევე ირჩევს საერთო კრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით. საერთოდ სახელმწიფო კონტროლს ნოტარიატის საქმიანობაზე ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, რომელიც უფლებამოსილია შეამოწმოს ნოტარიუსის სამსახურებრივი საქმიანობა, მაგრამ უფლება არ აქვს ჩაერიოს ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებაში.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი. საქართველოში ნოტარიატის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძველს, გარდა ზემოთ მითითებული "ნოტარიატის შესახებ" კანონისა, წარმოადგენენ "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს კანონი, "სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქცია, "ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულება, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წესდება და სხვა ნორმატიული აქტები.

ნოტარიუსს თანამდებობაზე ნიშნავს იუსტიციის მინისტრი, რომელიც ასევე განსაზღვრავს საქართველოში ნოტარიუსთა თანამდებობის რაოდენობას. ასევე, ფუნქციონირებს საერთო სანოტარო ბიუროებიც, სადაც გაერთიანებულია არიან როგორც წესი ორი ნოტარიუსი. ამ ეტაპზე საერთო ბიუროთა რაოდენობა დიდი არ არის.

სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას განცალკევებული (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდება ნოტარიუსთა პალატის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია.

6. ვებ-გვერდზე სასურველია, არსებობდეს ცალკეული (ქვე-)განყოფილება, სადაც წარმოდგენილი იქნება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ნოტარიუსთა პალატის საერთო კრების კომპეტენციის აღწერა;
- და ნოტარიუსთა პალატის გამგეობის კომპეტენციის აღწერა;
- საფინანსო-სარევიზიო კომისიის ფუნქციების აღწერა;
- სადისციპლინო კომისიის ფუნქციების აღწერა;
- ნოტარიუსთა პალატის აპარატის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა.

➤ **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ნოტარიუსთა პალატის აპარატის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება აპარატის სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;
- არასრული სახით არის წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ხოლო მათი ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები საერთოდ არ არის მოცემული;

ვებ-გვერდის ნავიგაციაზე განთავსებულ განყოფილებაში სათაურად „აპარატის სტრუქტურა“ მოცემულია მხოლოდ სასწავლო ცენტრის უფროსისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის სახელები და გვარები:

სასურველია, ვებ-გვერდზე აგრეთვე, მოიძიებოდეს საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრთა საერთო კრების ოქმები და გამგეობის სხდომისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ შედგენილი ოქმები. ოქმები სასურველია განთავსდეს თარიღების მიხედვით შესაბამის შესაქმნელ განყოფილებაში - „ოქმები“, ქვე-განყოფილებებში - „საერთო კრების ოქმები“ და „გამგეობის სხდომის ოქმები“.

➤ **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

10. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე)-განყოფილებები), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ნოტარიუსთა პალატის საქმიანობის ამსახველი წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, სტატისტიკური მონაცემები (მათ შორის ნოტარიუსთა პალატის გამგეობის მიერ შემუშავებული ნოტარიუსთა საქმიანობის სტატისტიკური ფორმები), პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები, აგრეთვე ნოტარიუსთა პალატის მიერ გამოცემული ჟურნალის "საქართველოს ნოტარიატი" ელექტრონული ვერსია და ა.შ.

➤ **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ნოტარიუსთა პალატის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები;
- არ მოიძიება ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარის მოადგილის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ ცნობები;

28.11.2011
კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტები ნოტარიატში დანერგილ სიახლეებსა და სერვისებს ეცნობიან



კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტები ნოტარიატში პალატასა და სანოტარო ბიუროებში პრაქტიკული სწავლების სამთვიან კურსს გაივლიან. ნოტარიატში პალატის გამგეობის თავმჯდომარე ნინო ხოფერიამ დღეს მათ ნოტარიატში დანერგილი სიახლეები, კერძოდ, ელექტრონული სერვისები გააცნო. კავკასიის უნივერსიტეტის 20 წარმატებული სტუდენტი სანოტარო ბიუროებში სანოტარო საქმიანობას პრაქტიკაშიც შეისწავლის.

ნოტარიატში პალატასა და კავკასიის უნივერსიტეტს შორის დღეს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმიც გაფორმდა...

16.11.2011
იურიდიული ფაკულტეტის სამი სტუდენტი ნოტარიატში პალატისგან ყოველთვიურად სტიპენდიას მიიღეს



თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამი სტუდენტი, ვინც სანოტარო სამართალს წარმატებით სწავლობს, საქართველოს ნოტარიატში პალატისგან ყოველთვიურად, სტიპენდიის სახით, 100 ლარს მიიღებს. სტუდენტები ფაკულტეტისა და ნოტარიატში პალატის ხელმძღვანელებთან გასაუბრების საფუძველზე შეარჩია. თინათინ ქიტოშვილი, სიმონ ტაკაშვილი და ეზზარ გაგნიძე აღნიშნულ თანხას ერთი წლის განმავლობაში მიიღებენ.

როგორც ნოტარიატში პალატის თავმჯდომარე ნინო ხოფერიამ განაცხადა...

11.11.2011
სწავლება მომავალი კონსულტებისთვის



საქართველოს ნოტარიატში პალატაში დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომლებს, მომავალი კონსულტების მოსამზადებელი პროგრამის ფარგლებში, ორდღიანი სემინარი ჩაუტარდათ. სწავლება მოიცავდა სანოტარო მოქმედებების შესრულებასა და ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

„ნოტარიატის შესახებ“ კანონის თანახმად, რიგ სანოტარო მოქმედებებს (მაგ: ანდერძის, ხელშეკრულების, მიღობილობის, ხელწმენის ნადეილობის დამოწმება...) ნოტარიატისგან გარდა, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების სათანადოდ უფლებამოსილი პირებიც ასრულებენ...

08.11.2011

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „წლიური ანგარიში“, სადაც განთავსდებოდა ნოტარიუსთა პალატის საქმიანობის წლიური და კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები.

13. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება (ბანერი) „სტატისტიკა“, თუმცა აღნიშნული გვერდი იუწყება, რომ მიმდინარეობს სტატისტიკის გვერდის დამუშავება:



სანოტარო მოქმედებათა სტატისტიკა

მოგესალმებით,

მიმდინარეობს სტატისტიკის გვერდის დამუშავება, რის გამოც დროებით შეჩერებულია მონაცემთა ბაზასთან დაკავშირება. ინფორმაციის მოძიების მიზნით შეგიძლიათ დაუკავშირდეთ საქართველოს ნოტარიუსთა პალატას ნომერზე - 220 67 77 (119) და მიიღოთ სასურველი სტატისტიკური მონაცემის თაობაზე ინფორმაცია.

სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს ნოტარიუსთა პალატის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია (მათ შორის ნოტარიუსთა პალატის გამგეობის მიერ შემუშავებული ნოტარიუსთა საქმიანობის სტატისტიკური ფორმები) და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ნოტარიუსთა პალატის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ნოტარიუსთა პალატა. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ნოტარიუსთა პალატა.

15. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და ნოტარიუსთა პალატის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

➤ **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

16. სასურველია, ვებ-გვერდის ნავიგაციაზე განთავსებულ განყოფილებაში (ბანერი) სათაურად „საკანონმდებლო ბაზა“, განთავსდეს აგრეთვე ნოტარიუსთა პალატის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები;

ამასთან, შემდეგი სამართლებრივი აქტი - ნოტარიუსთა პალატის წესდება სასურველია მოიძიებოდეს ცალკეულ ქვე-განყოფილებაში.

➤ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

17. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

18. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ნოტარიუსთა პალატაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

➤ **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

19. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ნოტარიუსთა პალატასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, ნოტარიუსთა პალატასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

20. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები“, სადაც განთავსდება ნოტარიუსთა პალატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, ნოტარიუსთა პალატის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

➤ **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება სათაურად „ვაკანსიები“, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ნოტარიუსთა პალატის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

ვაკანსიის ერთადერთი განცხადება განთავსებულია ნოტარიუსთა პალატის საქმედების შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვებში, კერძოდ კი, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „სიახლეები და ღონისძიებები“:

26.09.2011

ნოტარიუსთა პალატა აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობებზე

საქართველოს ნოტარიუსთა პალატა აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობებზე (იხილეთ დანართი).

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება 2011 წლის 6 ოქტომბრის ჩათვლით.

წარსადგენი დოკუმენტები და სააპლიკაციო ფორმა (იხილეთ დანართი) ან CV წარმოადგინეთ ნოტარიუსთა პალატაში (მის: აკაკი წერეთლის გამზინი N142, მე-4 სართული), ან ელ.ფოსტის მეშვეობით: tsalibashvili@notary.ge.

ვაკანტური თანამდებობები

სააპლიკაციო ფორმა

ტესტების ნიმუშები

22. სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სადაც განთავსდება ნოტარიუსთა პალატის გამგეობის მიერ ნოტარიუსთა პროფესიული მომზადების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული სემინარების, კონფერენციების, კოლოქვიუმებისა და სხვა მსგავსი სახის ღონისძიებების შესახებ ცნობები.

➤ **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

23. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ნოტარიუსთა პალატის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია, კერძოდ:


- არ მოიძიება ყოველწლიურ ბიუჯეტში ასახული ნოტარიუსთა პალატის ყოველწლიური შემოსავლები და გასავლები;
- არ მოიძიება გამგეობის ფონდში ჩარიცხული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია, რომლის მიღებაც არ იყო ბიუჯეტით დაგეგმილი.

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ნოტარიუსთა პალატის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ნოტარიუსთა პალატის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ნოტარიუსთა პალატა;
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ნოტარიუსთა პალატისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

აღსანიშნავია, რომ 2010 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის გაწეული რეკომენდაციების საფუძველზე, პალატის ვებ-გვერდზე განთავსდა შემდეგი სახის ინფორმაცია:


- ნოტარისუთა პალატის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება);
- ნოტარიუსთა პალატის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა;
- ნოტარისუთა პალატის წესდება;
- საქართველოს კონსტიტუცია.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



➤ **ძიება**

ვებ-გვერდის აქვს მოდული, რომელიც თარიღის მიხედვით ფილტრავს ინფორმაციას, თუმცა იგი არაკორექტულად მუშაობს, მაგალითად ზემოთ „5“ როდესაც ვაჭერთ, გადავდივართ ცარიელ გვერდზე:


» რთული ძეგნა

თქტ		ნოემბერი 2011					დღე
ო	ს	ო	ს	3	4	5	6
31	1	2	3	4	5	6	7
7	8	9	10	11	12	13	14
14	15	16	17	18	19	20	21
21	22	23	24	25	26	27	28
28	29	30	1	2	3	4	5
5	6	7	8	9	10	11	12

© 2005 ნოტარიუსთა პალატა. საავტორო უფლებები დაცულია.

➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

კატეგორიაში „აპარატის სტრუქტურა“ ატვირთულია სურათი, რომელიც საკმაოდ ბუნდოვანია:



საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარე

ნინო ხოფეჩია - ნოტარიუსი


საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე

ლალი ჭინჭილი - ნოტარიუსი

ვებ-გვერდში ტექსტური ინფორმაცია არ უნდა იყოს სურათის სახით, რადგან მისი ძიება და მარტივად აღქმა შეუძლებელია. იგივე შეიძლება ითქვას, ვებ-გვერდის ბანერებზე, რომლის ტექსტებიც აგრეთვე სურათის სახით არის განთავსებული:



ვებ-გვერდს აქვს ავტორიზაციის კატეგორია, რომელიც არანაირ ინფორმაციულ აღწერას არ ატარებს იმის შესახებ, თუ რისთვის არის განთავსებული ვებ-გვერდზე და როგორ უნდა გამოიყენოს იგი:




კატეგორია სიახლეებში, სურათებსა და ტექსტს შორის არ არის მინიმალური დაშორება (2 პიქსელი):



➤ ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა


ვებ-გვერდის ინგლისურენოვან ვერსიაში გვხვდება ბანერები ქართული ტექსტებით:



ვებ-გვერდი აგენერირებს არასწორ ბმულებს:

ძეგნა	
13.01.2011 - 111248851	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
12.02.2010 - 90458737	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
10.02.2010 - 5558	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
20.01.2010 - 1320	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
20.01.2010 - 1321	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
25.12.2009 - 1927	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
26.10.2009 - 397654	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
13.10.2009 - 90145597	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
16.09.2009 - 90516242	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
10.03.2009 - 11330	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
10.10.2008 - 2626	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
20.08.2008 - 19024	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
24.07.2008 - 13252	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
16.04.2008 - 14530	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
20.08.2007 - 17201	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
15.05.2007 - 1670	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
28.12.2006 - 1312	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა
01.08.2006 - 13661	სანოტარო აქტის ტიპი: მინდობილობა

მათზე გადასვლის შემდეგ კი გამოდის ცარიელი გვერდი:



ასეთი ხარვეზები აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას;

ერთ-ერთ ბანერზე გადასვლის შემდეგ, გამოდის ტექსტური ინფორმაცია, რომელიც სურათის სახითაა წარმოდგენილი, აღნიშნული ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს ტექსტურად ვებ-გვერდზე:

← →  http://notary.ge/userfiles/file/ონლაინ მომსახურება(3).png

2010 წლის 20 იანვრიდან საქართველოში და მსოფლიოშიც პირველად საწარმოო მოქმედება ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით სრულდება.

მსოფლიოს წებისმიერი ადგილიდან, სადაც კი ინტერნეტთან მიგრირებული ხელი, ონლაინ რეჟიმში შეგიძლიათ, დაამოწმოთ წებისმიერი სახის განცხადება ან თანხმობა, და მინდობილობა/რწმუნებულება.

აღნიშნული სიახლე მოქალაქეთათვის, განსაკუთრებით უცხოეთში მყოფთათვის, მნიშვნელოვნად ამარტივებს საწარმოო მომსახურებას და ზედმეტი ხარჯისა და დროის დაზოგვის საშუალებას იძლევა. ელექტრონული კომუნიკაციის მეშვეობით საწარმოო აქტის დასამოწმებლად დაგჭირდებათ კომპიუტერი, ინტერნეტი, ვებკამერა, მიკროფონი და ყურსასმენი.

განცხადების ან თანხმობის, აგრეთვე, მინდობილობის/რწმუნებულების ონლაინ რეჟიმში დასამოწმებლად, განმცხადებელს, საქართველოში მოქმედ ნოტარიუსთან ერთად, ორი მოწმის (რომელნიც არ უნდა იყვნენ საწარმოო აქტის მონაწილე მხარეები) დახმარება დასჭირდება. საწარმოო მოქმედების შესრულების პროცესში მონაწილეები სასურველია, წინასწარ შეთანხმდნენ დროზე. დანიშნულ დროს განმცხადებელი ონლაინ რეჟიმში უკავშირდება ნოტარიუსს, რომელთანაც იმყოფება ორი მოწმე. საწარმოო აქტს, ნოტარიუსთან ერთად, ხელს აწერენ მოწმეებიც. აღსანიშნავია, რომ საწარმოო მოქმედების ონლაინ რეჟიმში შესრულებისას, განმცხადებლის პიროვნების იდენტიფიცირება ხდება სამოქალაქო რეესტრის ბაზაში.

ონლაინ რეჟიმში შესაძლებელია გარიგების დამოწმებაც, თუმცა, მხოლოდ საქართველოში მოქმედ ნოტარიუსთან.

გარიგება ონლაინ რეჟიმში მოწმდება ორი ან მეტი ნოტარიუსის მონაწილეობით. როცა გარიგების მხარეები სხვადასხვა ადგილას იმყოფებიან და საშუალება არ აქვთ, ერთ ნოტარიუსთან მივიდნენ, ისინი ნოტარიუსებს მიაკითხავენ მდებარეობის მიხედვით (მხოლოდ საქართველოს

➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ვებ-გვერდზე გვხვდება სურათები, რომლებიც დაპატარავებულია პროგრამული კოდის (HTML/CSS)-ის მეშვეობით:

სიახლეები & ღონისძიებები


16.11.2011

იურიდიული ფაქულტეტის სამი სტუდენტი ნოტარიუსთან პალატისგან



თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. იურიდიული ფაქულტეტის სამი ს. წარმატებით სწავლობს, საქარ. ყოველთვიურად, სტიპენდიის სახი. ფაქულტეტისა და ნოტარიუსთა პა. საფუძველზე შეარჩია. თინათინ ქიტოძე აღნიშნულ თანხას ერთი წლის განმავლ. როგორც ნოტარიუსთა პალატის თა. ღონისძიება ერთჯერადი არ იქნება და ნოტარიუსთა პალატა დახმარებასა და მათთან თანამშრომლობას მომავალშიც განაგრძობს. საქართველოს ნოტარიუსთა პალატა თბილისის ივ. ჯავახიშვილის ს. აქტიურად თანამშრომლობს. 2010 წელს პალატასა და უნივერსიტ. მემორანდუმიც გაფორმდა. თანამშრომლობა მზნად ისახავს სტ. განათლების მიღებაში დახმარებას, რაც სამომავლოდ მათ დასაქმ. ხელს.

სინამდვილეში ეს სურათები არის საკმაოდ დიდი ზომის (რეზოლუციის), შესაბამისად მათი ჩატვირთვა ანელებს ზოგადად ვებ-გვერდის ჩატვირთვასაც:



ვებ-გვერდი აწყობილია ისეთ ტექნოლოგიაში, რომელიც ხელს უშლის ინფორმაციის გაზიარებასა და ინდექსაციას. მაგალითა შეუძლებელია სიახლეების გაზიარება:



➤ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან

ვებ-გვერდი არ არის ინტეგრირებული სოციალურ ქსელებში;

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

პირველ რიგში ვებ-გვერდს უნდა დაემატოს ონლაინ გადახდების მოდული, ასევე სხვადასხვა ელექტრონული სერვისი, ისეთი როგორიც არის მაგ. სიახლეების გამოწერა, RSS არხი და სხვა. მიმდინარე ფუნქციები და სერვისები, რაც ამჟამად ვებ-გვერდს გააჩნია დასახვეწია, მათ არ აქვთ დასრულებული სახე. ზოგადად ვებ-გვერდზე არ შეიმჩნევა თანამედროვე ტენდენციები, იგი ძველი სტანდარტების მიხედვით არის შექმნილი.